ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1390227

ნომერი: AR1235995

თარიღი : 10.07.2014

გაცემის თარიღი : 16.07.2014

გაცნობის თარიღი : 16.07.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ილია ვეკუა , N 18 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ჯაფარიძე პ/ნ 01007000646
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 79 ბ. 36

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული სამუშაოების განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. ვინაიდან №1192201 გადაწყვეტილებით შეთანხმებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები უკვე განხორციელებულია, რაც ნათლად ჩანს ამჟამად წარმოდგენილ არსებული სიტუაციის ფოტომასალაზე და ასევე ეწყობა სარეკლამო აბრაც, შესაბამისად ნომენკლატურა არასწორად არის არჩეული, კერძოდ "საჩრდილობლის მოწყობა - კორექტირების" ნაცვლად უნდა აირჩიოთ შემდეგი ნომენკლატურები: "საჩრდილობლის მოწყობა - რეკონსტრუქცია" და "აბრებისა და რეკლამების განთავსება - ახალი მშენებლობა" და აღარ იქნება საჭირო შეავსოთ "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები"-ს ველი;
2. შესაბამისად მოთხოვნის ტექსტიდან ამოღებულ იქნას სიტყვა "კორექტირება" და ასევე მიეთითოს სარეკლამო აბრის განთავსების თაობაზე ინფორმაციაც;
3. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში" - ამ ველში ატვირთული ფაილი არ იხსნება. წარმოადგინეთ კარგი ხარისხის ფაილი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.